

## გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრის მიერ გელათის პრობლემატიკის მიმდინარე შეფასება (2020-2021 წწ.)

დღიდან დაარსებისა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის უმთავრესი ფუნქცია ჩვენი სულიერი კულტურის სამეცნიერო კვლევა და, ამასთან, ეროვნული მემკვიდრეობის კონსერვაციისა და დაცვის საკითხებია. ამდენად, ამ პროცესებში ჩვენი თანამშრომლები ყოველთვის აქტიურად იყვნენ ჩართულნი. გამონაკლისი, არც გელათია. ამდენად უცნაურიც კია, რომ გელათის მონასტრის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, ჩვენი ცენტრის აქტივობა პოლიტიკური მოტივაციით იხსნება. კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე საგანგებოდაა აღნიშნული ისიც, რომ ჩვენი ცენტრის თანამშრომლების აქტიურობა 2021 წლის შემდგომ პერიოდს ემთხვევა. ამავე მიზეზით სამინისტრო ექვევემ აყენებს გ. ჩუბინაშვილის ცენტრის მიერ საქართველოს საპატრიარქოს შუამავლობის შედეგად დაწერილ გელათის ტაძართა საკონსერვაციო სამუშაოების შეფასებით ანგარიშს (2023 წლის 20 იანვარი). ეს დოკუმენტი ცენტრის თანამშრომლების მიერ სრულადაა გაზიარებული და, ამდენად, ის არა ერთი ჯგუფის, არამედ ინსტიტუციური პოზიციის გამომხატველია, რაც იმთავითვე გამორიცხავს მის მიკერძოებულობას.

გელათის საკონსერვაციო სამუშაოების მიმდინარე პროცესებზე გ. ჩუბინაშვილის ცენტრის ინსტიტუციური რეაგირება ბევრად ადრე დაიწყო. ცენტრის მეცნიერები ყოველთვის იყვნენ ჩართულნი კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში არსებულ სხვადასხვა საბჭოებში. ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ისინი შეკრებებზე მუდმივად აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებას. ეს ინფორმაცია დეტალურადაა ასახული სხდომების ოქმებში (ადრექრისტიანული და შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა სექციის სხდომის ოქმები, 2020 წლის 15.05, სხდომა 14, 03.08 2020 წლის სხდომა, სხდომა 25, 14.08.2020 წ., 02.10 2020, სხდომა 28, სხდომა 33, 13.11 2020 წელი და სხვა). უფრო მეტიც, სწორედ გ. ჩუბინაშვილის ცენტრის თანამშრომლების ინიციატივით დაიგეგმა და განხორციელდა 2020 წლის აგვისტოში სააგენტოს რიგგარეშე გაფართოებული სხდომები გელათის თემის განხილვის მიზნით. დოკუმენტურადაა დადასტურებული ჩვენი მეცნიერების წერილობითი შენიშვნები და რეკომენდაციები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის საბჭოს სხდომებზე. ასევე აქტიური გამოსვლები მედიაში, სადაც გელათის საკონსერვაციო პროცესების ხარვეზებზე და საფრთხეებზე იყო საუბარი.

ინსტიტუციური რეაგირების აუცილებლობა დადგა მას შემდეგ, რაც პროცესი ჩვენი შეფასებით კრიტიკულს მიუახლოვდა და ნათელი გახდა, რომ მხოლოდ ცენტრის წარმომადგენლები ვერ შეძლებდნენ ვითარებასთან გამკლავებას.

2020 წლის 1 აგვისტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურის სამინისტროს გაეგზავნა ოფიციალური წერილი, სადაც გ. ჩუბინაშვილის ცენტრი გელათში მიმდინარე პროცესებში აქტიურ მონაწილეობას სთავაზობდა. იმის გამო, რომ აღნიშნულ კორესპონდენციას არ მოჰყვა რეაგირება გ. ჩუბინაშვილის ცენტრის მიერ

2020 წლის 25 დეკემბერს კულტურისა და განათლების სამინისტროს გაეგზავნა ცენტრის დირექტორის, ICOMOS საქართველოს ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტის, და ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის, ერთობლივი წერილი, რომელიც გელათის საკონსერვაციო პრობლემების დეტალურ აღწერას გულისხმობს. მოგვიანებით აღნიშნული წერილის თაობაზე ინფორმირებული იყო იმხანად პარლამენტის კულტურისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე თეა წულუკიანიც, რომელსაც ეს წერილი გადაეცა (მყარი სახით) 2021 წლის იანვარში და ეცნობა ცენტრის პოზიციის შესახებ გელათში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

სწორედ ამის საფუძველზე ჩაერთო გ. ჩუბინაშვილის ცენტრი უკვე მინისტრის თეა წულუკიანის მიერ გელათის საკითხისადმი ინიცირებულ კომისიაში, რომლის გაფართოებული სხდომაც 2021 წლის მაისში შედგა. სხდომას ცენტრის მეცნიერები ესწრებოდნენ. რამდენიმე ერთობლივი სხდომის შემდგომ, როგორც კი, აზრთა სხვაობა გაჩნდა (გ. ჩუბინაშვილის ცენტრის მეცნიერებმა, უმთავრესად სამუშაო ჯგუფის მეთოდოლოგიასა და კომპეტენციაში შეიტანეს ეჭვი), ცენტრის თანამშრომლები სამუშაო პროცესს ჩამოაშორეს.

2021 წლის 14 ოქტომბერს გაიგზავნა საგანგებო მიმართვა საქართველოს საპატრიარქოში, კულტურის სამინისტროსა, და პარლამენტში, სადაც გელათის პრობლემების ვრცელი აღწერილობა და არსებული დოკუმენტაციის მიმოხილვა იყო წარმოდგენილი. წერილს გელათის აკადემიის წევრებთან ერთად, ცენტრის თანამშრომლებიც აწერდნენ ხელს.

დროთა განმავლობაში ეს იზოლაცია იმდენად გაღრმავდა, რომ სპეციალისტებს ხარაჩოზე ასვლაც აეკრძალათ. გ. ჩუბინაშვილის ცენტრმა ეროვნულ სააგენტოს საგანგებო წერილითაც მიმართა, სადაც ძეგლის ხარაჩოდან შესწავლის უფლებას ითხოვდა, რაზეც უარი ეთქვა ( 2021 31 ოქტომბერი). ხარაჩოზე ასვლის უარი არაერთგზის ეთქვათ გელათში ჩასულ ცენტრის თანამშრომლებსაც. ეს შესაძლებლობა მხოლოდ 2023 წლის 20 იანვარს, საქართველოს საპატრიარქოს შუამავლობით გაჩნდა, რისთვისაც მას ცენტრის სახელით კიდევ ერთხელ, დიდ მადლობას მოვახსენებთ. სწორედ ამ გასვლით ექსპედიციას მოჰყვა კიდევ, გ. ჩუბინაშვილის ცენტრის ვრცელი ანგარიშში.

იმის გამო, რომ ფართო საზოგადოებისთვის გელათის საკონსერვაციო სამუშაოების ირგვლივ არსებული სამეცნიერო შეფასებები და ანგარიშები ხელმისაწვდომი არ არის, და ხშირად ოფიციალური ინფორმაციაც, არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივია, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ჩვენი სამეცნიერო პოზიციის საჯაროდ წარმოდგენა.

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი ყოველთვის იდგა ჩვენი სულიერი კულტურის სადარაჯოზე. ცენტრის დამაარსებლების მიერ მეტეხის ეკლესიის გადარჩენის ისტორია, სხვა ღირსეულ მამულიშვილებთან ერთად, ყველა ჩვენთაგანისთვის პროფესიული და მოქალაქეობრივი გმირობის მაგალითია. ამ ისტორიის მქონე დაწესებულებისთვის გელათის დაცვის საქმეში პოლიტიკური მოტივის შემოტანა, სულ მცირე, მისი დიდი ტრადიციების შეურაცხყოფას ნიშნავს.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის (WHC), ICOMOS-ისა და ICCROM-ის ერთობლივი მისიის და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ანგარიშების შედარება

არქიტექტურის კონსერვაცია

1. 2015-2018 წლებში დაგებულ გადახურვაზე გამოყენებული მოჭიქული კრამიტის უხარისხობა და მისი დაგება-მონტაჟის პროცესში დაფიქსირებული მეთოდოლოგიური და პროფესიული შეცდომები:

- „2015-2018 წლებში დამონტაჟებულ სახურავებს ჰქონდა ხარვეზები დიზაინის, მონტაჟის ტექნიკის და გამოყენებული მასალების ხარისხის კუთხით. ამ ხარვეზებმა გამოიწვია კრიტიკულად დიდი მოცულობის ტენის შეღწევა და უფრო მეტიც, ტენიანობა მოექცა კამარის შიდა ფენასა და სახურავის მოჭიქული კრამიტის ფენას შორის.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 5.)*
- „...კიდევ უარესი იყო კრამიტის დაგების და, მთლიანად, სახურავის მოწყობის ხარისხი - სამუშაოები არაკვალიფიციურმა ადამიანებმა შეასრულეს. სახურავში წყლის ჩაჟონვის მიზეზი გახდა არა მხოლოდ და არა იმდენად უხარისხო კრამიტი, რამდენადაც მისი არაპროფესიონალურად დაგება, არასწორად გაკეთებული ღარები, წყალსაწრეტები, კვანძები და შეერთებები კედლებთან.“ *(ჩუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 7.)*
- **კრამიტის საბურველსა და კამარებს შორის არსებული შემავსებელი:** „ფილების ქვეშ დამონტაჟდა ფოროვანი კირის ხსნარის სქელი ფენა, რომელსაც შეუძლია ბევრი წყლის შთანთქმა. ზოგიერთ უბანზე საერთოდ არ არის დამონტაჟებული წყლის/ტენის საიზოლაციო ფენა. იქაც, სადაც არსებობს რაიმე სახის წყლის/ტენიანობის იზოლაცია, მის როგორც მასალა (რაოდენობა და სისქე) ასევე დამონტაჟება დეფექტურია. კრამიტის ქვეშ არსებული შემავსებელი მასალის უმეტესობა შთანთქმავდა ფილების ფენიდან გადატანილ წყალს და შექმნა ტენიანობის რეზერვუარი...“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 14.)*
- „მეთოდოლოგიური შეცდომა იყო კრამიტის სახურავის მოწყობა არა ხის ნივნივებზე, რომლებიც სხვენს ქმნის და შენობის თავისუფალი განიავების შესაძლებლობას იძლევა, არამედ ერთიან მყარ მასაზე, რომლითაც მთლიანად ამოივსო სივრცე კამარებსა და სახურავს შორის. ეს შემავსებელი მასა ტაძრის სხვადასხვა ნაწილზე სხვადასხვა მასალითაა (ცემენტის ქაფი, პემზა, სამშენებლო ნარჩენები და სხვა) შექმნილი...“ „წყლის ჩაჟონვის შემდეგ ბევრგან ეს მასალა თავადაც გაიჟლინა და, კედლებთან ერთად, დიდი დამატებითი ნესტიანი მასა შექმნა...“ *(ჩუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 8.)*

2. მყარი, ერთიანი დროებითი გადახურვა:

- „დაუყოვნებლივ განხორციელდეს მისიის შენიშვნების გათვალისწინებით ძეგლის (გუმბათის ჩათვლით), მთლიანი დამცავი გადახურვის პროექტი.“ „ აღნიშნული ძეგლის საერთო დამცავი გადახურვის განთავსება, რომელიც აღნიშნულია მესამე რეკომენდაციაში, არის აუცილებელი წინაპირობა არა მხოლოდ ადგილზე შემდგომი ჩარევებისათვის, არამედ მონიტორინგის სხვადასხვა აქტივობებისთვისაც, რაც ამ ჩარევებს უფრო ინფორმატიულს გახდის.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 5, 7.)*

- „სრული მყარი დროებითი გადახურვა კვლავაც უნდა განვიხილოთ გელათის დიდი ტაძრის დაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად. ზემოთაღნიშნული რისკის გათვალისწინებით, აუცილებელია დროებითი გადახურვა დააპროექტონ და ყველა ეტაპზე განახორციელონ უმაღლესი კვალიფიკაციის საერთაშორისო სპეციალისტებმა, რომელთაც აქვთ შესაბამისი გამოცდილება.“ *(ზუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 7.)*

### 3. წყლის გადამყვანი სისტემები სახურავზე:

- „სახურავზე აუცილებელია წყლის არიდების მდგრადი სისტემის შექმნა, რომელსაც შეეძლება წყლის მოცილება და შეგროვება და მოწყობილობების მეშვეობით მიწაზე გადამისამართება, სადაც სადრენაჟო სისტემასთან ინტეგრაცია წყალს შენობებიდან გადინების საშუალებას მისცემს. ჩარევა საჭიროდ ითვლება მაშინაც კი, თუ ის განსხვავდება მსგავსი ეკლესიებისთვის ყველაზე ტრადიციული გადაწყვეტებისგან და თუნდაც მცირედად ცვლის სახურავების ტრადიციულ იერსახეს.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 17.)*
- „საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს წყლის გადაყვანის/არიდების სისტემებს. მათ დაგეგმვას და შესრულებას კვალიფიციური სპეციალისტები სჭირდება. ამ სისტემების გაუმართაობამ ამჟამინდელი პრობლემების შექმნაში დიდი როლი შეასრულა.“ *(ზუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 11.)*

### 4. სახურავების გათავისუფლება ძველი შემავსებლისგან:

- „...სახურავის ქვეშ არსებული კონგლომერატის შემავსებლის მოცილება, რაც მთლიანი დამცავი საფარის დამონტაჟებისა და დარჩენილი ფილების მოხსნის შემდეგ უზრუნველყოფს სახურავიდან აორთქლებას.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 31.)*
- „მას შემდეგ, რაც საიმედო დროებითი სახურავი იქნება მოწყობილი, დიდ ტაძარზე მთლიანად უნდა იქნას აღებული დარჩენილი კრამიტები და სრულად ამოწმენდილი შემავსებელი მასა კამარებსა და სახურავს შორის. ეს სამუშაოები უნდა გაიწეროს შესაბამისი დარგების ექსპერტების (მათ შორის კლიმატოლოგის) დეტალური რეკომენდაციების საფუძველზე. არსებითია, რომ შენობა ერთიანად განთავისუფლდეს სახურავისგან, რათა კედლებისა და კამარების გაშრობის პროცესი თანაბრად წარიმართოს და აღარ მოხდეს ანაორთქლი ნესტის კონცენტრაცია ცალკეულ ადგილებში, როგორც ახლა ხდება.“ *(ზუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 10.)*

### 5. ახალი სახურავის მოწყობის ტექნოლოგია:

- „...პროფილირებული სპილენძი... მიზანშეწონილად მიიჩნევა, რადგან ის: რეგიონში გავრცელებული მსგავსი სამშენებლო მეთოდით და შესაბამის პერიოდებში ძეგლების ქვის ფილებით დაფარვის ტრადიციულ ფორმასთან უფრო შესაფერისი დამუშავების; გადაფარვისა და ვერტიკალურ კედლებს შორის გადაკვეთაზე ზედაპირების (გაადვილებს flashings ციმციმების დაყენებას) უკეთესი თავსებადობის; ჩამოშლის ან კატასტროფის შემთხვევაში გაადვილებული ჩარევის და შეკეთების; სახურავების ქვეშ შემავსებელი მასალის გამოყენების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 16-17.)*



- „აუცილებელია სახურავი გაკეთდეს ხის ნივნივებზე. გელათის სპეციფიკური კლიმატის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გაზიარებული იქნას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული წესი და კრამიტის საბურველის ქვეშ მოეწყოს თუნუქის სახურავი. ასეთ დროს ფუნქციური არის თუნუქი, ხოლო მასზე დაგებულ კრამიტს ძირითადად დეკორატიული დანიშნულება აქვს. შესაძლოა რაღაც მსგავსი სისტემა აქ უკვე შუა საუკუნეებში არსებობდა - ეგებ ამას ემსახურებოდა ტყვის ფურცლები, რომელთა დამდნარი ნაშთებიც აღმოჩნდა დასავლეთი მკლავის თავზე.“ *(ჩუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 11.)*

## 6. არასწორად აღდგენილი კარნიზები და გადახურვები:

- „გადახურვა არ არის საკმარისად გამოშვებული კარნიზებისა და ქვის კედლის სხვა ნაწილების დაცვის უზრუნველსაყოფად (სურ. 16-17). არ არის სპეციფიკური დამცავი მოწყობილობები (როგორცაა flashings ციმციმები) დახრილ ზედაპირებსა და ვერტიკალურ კედლებს შორის კვეთაზე ან impluvium წყლის გამანაწილებელთან დამთხვევაში, სადაც ინფილტრაციის რისკი უფრო დიდია (ნახ. 18-19). ზემოაღნიშნულს ემატება წვიმის წყლის შესაგროვებლად და გამოსადევნად გამოსადეგი მოწყობილობების არარსებობა (ღარები და მილები).“ „მიზანშეწონილია კარნიზის ფორმის აღდგენა ავთენტური კარნიზის მიხედვით, რამაც თავიდან უნდა აიცილოს კედლების ნალექებისგან დაზიანება და ეკლესიის კონსტრუქციის დაზიანება წყლის შეღწევისგან.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 15-16; 17.)*
- „კრამიტის სახურავის არსებითი ნაკლია მისი არასაკმარისი გამოწვევა კედლებიდან. სახურავი ტაძრის კარნიზის პირზეა მოწყობილი, რის გამოც კარნიზის ქვეშ ეკლესიის მთელ პერიმეტრზე გარკვევით ეტყობა სახურავიდან ნაჟონი წყლის კვალი. დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე კრამიტის დეკორატიული ფრიზის ქვეშ კარნიზის ქვეშ აშრევა აქვს დაწყებული. საცრემლეები ზოგან საერთოდ არ არის, ხოლო სადაც არის ბრტყელი კრამიტების შიგნითაა მოქცეული და თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. აფრების გარე მოცულობებზე კარნიზის ქვეშ ბევრგან სახურავის გარეთ დარჩა და დროებითი სახურავის მოწყობამდე მუდმივად ზიანდებოდა წყლის ნაკადისგან.“ „დროებითი სახურავის რამდენიმე წყალსაწრეტი მილი წყლის სახურავიდან გამართულად გადაყვანას ვერ უზრუნველყოფს, მით უფრო რომ ზოგიერთი უკვე დაზიანებულია და სახელდახელოდ ამოუღესავთ.“ *(ჩუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 8-9; 10.)*

## 7. ჟანგვადი ლურსმნები:

- „გამოყენებული ლურსმნები დაიჟანგა, ხოლო საიზოლაციო ფენასა და ფილებს შორის განთავსებული კირხსნარის სისქე არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ფილების დამჭერ ლურსმნებს არ გაეხვრიტა წყლის საიზოლაციო ფენა, რაც ამ უკანასკნელს არაეფექტურს ხდის.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 15.)*
- „კრამიტების დასამაგრებლად სახურავის ფერდებზე გამოყენებული იქნა ლურსმნები, რაც ჩვეულებრივი პრაქტიკაა და საქართველოს საეკლესიო მშენებლობაში სულ ცოტა მეათე საუკუნიდან არის ცნობილი (ხახული, ოშკი). სათანადო ყურადღება ხარისხს არც აქ მიექცა

- ამჟამად ლურსმნები ბევრგან დაჟანგულია (კარგად ჩანს აფრების გარე მოცულობებზე).“ *(ჩუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 9.)*

#### 8. სახურავზე გამოყენებული ჰიდროსაიზოლაციო ფენა:

- „იქაც, სადაც არსებობს რაიმე სახის წყლის/ტენიანობის იზოლაცია, მის როგორც მასალა (რაოდენობა და სისქე) ასევე დამონტაჟება დეფექტურია. კრამიტის ქვეშ არსებული შემავსებელი მასალის უმეტესობა შთანთქავდა ფილების ფენიდან გადატანილ წყალს და შექმნა ტენიანობის რეზერვუარი.“ „2020 წლის ივლისში ფილების თავზე დროებითი საფარის დამონტაჟებამ შეზღუდა წვიმის წყლის შემდგომი შეღწევა, მაგრამ ასევე არ იძლეოდა სახურავების ზედა ნაწილებში აორთქლების შესაძლებლობას.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 15; 18)*
- „სახურავის მოწყობისას თავის გადასაზღვევად აქტიურად იქნა გამოყენებული ჰიდროსაიზოლაციო მასალები (თხევადი იზოლატორის ფენა, ტოლი) - როგორც თვით სახურავზე, ისე კამარებზე. წყლის ინფილტრაციისაგან მათ შენობა ვერ დაიცვეს, შემდეგ კი მისი გაშრობის შემაფერხებელ კიდეც ერთ ფაქტორად იქცნენ.“ *(ჩუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 8.)*

### კედლის მხატვრობის კონსერვაცია

#### 1. დოკუმენტაცია და კვლევები:

- „შეშფოთების კიდეც ერთ საგანს წარმოადგენს მხატვრობის მდგომარეობის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აშკარა სიმწირე. მხატვრობის ცალკეული ნაწილების შედარებითი ფოტომასალა, ისევე როგორც მდგომარეობის კვლევა და შეფასება, მიეწოდა მისიას. მაგრამ მისიას არ მიწოდებია სისტემატური დოკუმენტაცია. ჩანს, ფერწერული ფენისა და ნალესობის დანაკარგების დეტალური დოკუმენტაცია ნაწარმოები არ არის. ამგვარი დოკუმენტაცია საფუძველია კედლის მხატვრობის ხანგრძლივი მონიტორინგისთვის.“ „სრული და დეტალური დოკუმენტაციის შემუშავება კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგისა და ყველა ჩატარებული სამუშაოს აღნუსხვისათვის მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს და მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, იგი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იქნება აუცილებელი.“ „კედლის მხატვრობისა და მოზაიკის გადაუდებელი და საშუალოვადიანი კონსერვაციის დეტალური პროექტის შემუშავებამდე, აუცილებელია ტაძრის მთელ ინტერიერში არსებული მოხატულობების მდგომარეობისა და პათოლოგიების აღმნუსხველი რუკის შედგენა.“ „შეშფოთების საბაზს იძლევა ბათქაშისა და ფერწერის ტექნიკის ანალიზის არარსებობა, რაც სავალდებულოა საკონსერვაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 4-5; 15.)*
- „უცნობია სამუშაოთა შეფასების კრიტერიუმები და მექანიზმი. სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაცია, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა მართვის საერთაშორისო სტანდარტებისა და არაერთი საერთაშორისო ქარტიის მოთხოვნების საპირისპიროდ, პროფესიული წრეებისთვისაც კი რთული მოსაპოვებელია, და, შესაძლოა, უცნობიც. (Granada Convention, 1985, Articles: 14, 15, 17, 18 (<https://rm.coe.int/168007a087>); The Venice

Charter, 1964; Article: 16 (<https://www.icomos.org/en/participer/179-articles-en-francais/ressources/charters-and-standards/157-thevenice-charter>).“ „სამუშაოების მახასიათებელს პროფესიული საანგარიშო დოკუმენტაციის სიმწირე და გარკვეულ შემთხვევებში, ხელშეკრულებათა პირობებისგან აცდენა წარმოადგენს.“ „მართვის პროცესიდან სამეცნიერო კომპონენტის გათიშვის შედეგია დარგის მესვეურთა მიერ გელათის მხატვრობაზე განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის უკრიტიკოდ მიღება, მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესად მწირი დოკუმენტაცია არ შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. დოკუმენტაცია გელათის მხატვრობის ტექნოლოგიისა და საკონსერვაციო მასალათა შესახებ ზოგადი მონაცემებით შემოიფარგლება; არ შეიცავს მხატვრობის სხვადასხვა ნაწილების შესრულების ტექნოლოგიებისა და კონკრეტული დაზიანებების თავისებურებების, ისევე, როგორც - გამოყენებული საკონსერვაციო მასალების შერჩევისა და კონკრეტულ შემთხვევებთან მათი თავსებადობის შესწავლის მონაცემებს და შესრულებული სამუშაოების დეტალურ აღწერილობას.“ „შემოთავაზებული მეთოდოლოგია არ ეფუძნება სათანადო კვლევას, არ არის ჯეროვნად დასაბუთებული და არგუმენტირებული.“ „კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ მეთოდოლოგიურ დარღვევას, რაც გულისხმობს ბოლო პერიოდის მთელი რესურსის დასავლეთი მკლავის მხატვრობაზე დაუსაბუთებელი, სათანადო კვლევისა და ტესტირების გარეშე ჩატარებული, მისი მხატვრობის ფიზიკურადაც და ავთენტური სახისთვისაც დამაზიანებელი სამუშაოებისთვის მოხმარებას.“ „გადაწყვეტილებებისა და შეფასების პროცესიდან სამეცნიერო კომპონენტის გათიშვა, ერთიანი გეგმის, ვითარების გააზრების და მწყობრი მეთოდოლოგიის გარეშე, მწირი კვლევითი და საანგარიშო დოკუმენტაციით წარმართული ფიზიკური სამუშაოები ცხადად აჩვენებს, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის „გელათის მონასტერი“ მართვის ხარისხი შორს არის თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებისგან.“ *(ჩუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 4; 10;)*

## 2. მასალები და მეთოდოლოგია:

- „2021 წლის მაის-ივნისში იტალიელი სპეციალისტების მიერ გელათში მდგომარეობის შესაფასებლად განხორციელებული წინასწარული მისიის შემდეგ, დაიგეგმა რიგი შესაძლოს ჩარევები და მასალები, რომელთაგან ზოგი ადგილზე დაიტესტა. 2021 წლის სექტემბერში ხსენებული ტესტების შედეგები დამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული, რასაც მომდევნო თვეებსა და 2022 წლის მანძილზე მასშტაბური სამუშაოები მოჰყვა.“ „თუმცა, გამოყენებული მიდგომა, ისევე როგორც ზოგი მასალა და ტექნიკა გარკვეულ შემოფოთებას იწვევს. მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ ძეგლი შრობის ნელ პროცესს გადის და დროთა განმავლობაში დეგრადაციისა და დეფორმაციის გამოვლინებაა მოსალოდნელი.“ „საკონსერვაციო ჩარევები მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. ისინი უნდა განხორციელდეს მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში. მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ახალი მასალების, განსაკუთრებით, წყლის შემცველის გამოყენება, რათა შემცირდეს ხსნადი მარილების გახსნისა და გადაადგილების რისკი.“ „კამარებისა და შესაძლოა გუმბათის მოხატულობებზე გადაუდებელი ჩარევები აუცილებელ მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, ორიგინალთან თავსებადი მასალების გამოყენებით და წყლის მაქსიმალური შეზღუდვით.“ „გადაუდებელი სამუშაოების

ადრეულ ეტაპზე ქიმიების გამოცვლა არ არის რეკომენდებული. ეს შესაძლებელია მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც ისინი იშლება ან ფარავს ორიგინალი მხატვრობის ნაწილებს.“ „ამონიუმის ოქსალატით ნალესობის კონსოლიდაციის მეთოდი საინტერესოა, თუმცა გადაუდებელ ეტაპზე უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ძლიერ დაზიანებულ მონაკვეთებზე, შედეგების ხანგრძლივი კონტროლის თანხლებით.“ „გაფხვიერებული ნალესობის დროებითი გამაგრებისთვის სინთეტიკური პოლიმერების (Paraloid B-72,10%, აცეტონში) გამოყენებამ, შესაძლოა გამოიწვიოს მათი ნარჩენების ზედაპირებზე დარჩენა და წარმოშვას გაუმტარი ფენა. ამან შესაძლოა სამომავლოდ გამოიწვიოს მარილის ფენის ფორმირება და ფერადოვანი ფენის ახალი განშრევა ან ნალესობის დაშლა. ასეთი დროებითი ღონისძიებებისთვის უმჯობესია ისეთი შექცევადი მასალების გამოყენება, როგორცაა ციკლოდოდეკანი.“ „კარბონატებისგან ზედაპირების გასუფთავება, წყლისა და EDTA-ს გამოყენებით, შესაძლოა უსაფრთხო იყოს ნორმალურ პირობებში, მაგრამ არა გელათის შემთხვევაში, სადაც წყლის ჭარბმა გამოყენებამ შესაძლოა გაააქტიუროს ნალესობაში მარილების გახსნის პროცესი.“ „ფერწერული ფენების ფიქსაციისთვის სინთეტიკური პოლიმერების გამოყენება (ამ შემთხვევაში Acrill 33/EA-MMA, 3%/5%, წყალში) ასევე შესაძლოა იყოს პოტენციურად პრობლემური, რადგან ეს არის მასალა, რომელიც წარმოშობს გაუმტარ აპკს როგორც ფერწერული ფენის ზედაპირზე, ისე მის ქვეშ. მარილის ფენის ფორმირება შესაძლებელი იყო დასავლეთი მკლავის ყველა დამუშავებულ მონაკვეთზე. ამიტომ, მისია გირჩევთ არ გამოიყენოთ სინთეტიკური პოლიმერები ფერწერული ფენის გასამაგრებლად.“ „მარილების მექანიკური მოცილება რბილი ფუნჯით ადეკვატურია (თუ მათი შეგროვება და უტილიზაცია ხორციელდება სწორად, კედლის ზედაპირებიდან მოშორებით). თუმცა მარილების ნალესობიდან ამოწმენდის ღონისძიება სახიფათოა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს საჭიროებს წყლის დამატებას ზედაპირზე და ნალესობაზე. ვიდრე არ გვაქვს სრული წარმოდგენა მარილების წარმომავლობაზე და იმაზე თუ რა გზით იქნება შესაძლებელი მათი კვლავ სტაბილიზაცია, ასეთი ღონისძიებების ჩატარება ძალზე სარისკოა.“ „გამომარილების პროცესი თვალსაჩინოა დასავლეთი მკლავის დამუშავებულ მონაკვეთებზე, ისევე როგორც სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების მოხატულობაზე. ამიტომ მისია გირჩევთ არ განახორციელოთ ეს პროცედურები.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 16-17.)*

- „გელათის მხატვრობა მაღალი ტენიანობისა და სხვადასხვა ტიპის მარილების ზემოქმედების შედეგად, აქტიური დაზიანებისა და ავტენტური მოხატულობების მზარდი დანაკარგების მიმდინარე პროცესშია. შემოთავაზებული მეთოდოლოგია არ ეფუძნება სათანადო კვლევას, არ არის ჯეროვნად დასაბუთებული და არგუმენტირებული და არ შეესაბამება სხვადასხვა დროის, განსხვავებული ტექნოლოგიით შესრულებული, წყლის მასშტაბური ინფილტრაციით დაზიანებული და კრიტიკულად მძიმე მდგომარეობაში არსებული მოხატულობების სპეციფიკას, იგი მეტად დაშორებულია საერთაშორისო სტანდარტებს. არასტაბილურ გარემოში (ნესტი, ტემპერატურა), მცდარი მეთოდოლოგიით, ორიგინალთან არათავსებადი მასალების გამოყენებით განხორციელებული ჩარევები ექსპერტთა მიერ შეფასებულია როგორც „შემაშფოთებელი“.“ „დოკუმენტაცია არ შეიცავს გამოყენებული საკონსერვაციო მასალების შერჩევას და კონკრეტულ შემთხვევებთან მათი



თავსებადობის შესწავლის მონაცემებს და შესრულებული სამუშაოების დეტალურ აღწერილობას.“ *(ჩუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 12; 6.)*

### 3. კონსერვაციის გეგმა და მონიტორინგი:

- „მცისიერი ქმედებები ფოკუსირებული უნდა იყოს სტაბილიზაციის სამუშაოებზე. საკონსერვაციო სამუშაოები მხოლოდ მას შემდეგ უნდა განხორციელდეს, როდესაც სტრუქტურები, კედლის მოხატულობები და მოზაიკა დაექვემდებარება ძველის საფუძვლიანად დამუშავებულ ყოვლისმომცველ კონსერვაციის პროგრამას და დაემყარება სისტემატურ მონიტორინგს, კვლევასა და დოკუმენტაციას. შესაბამისად უნდა გადამუშავდეს ძველის კონსერვაციის გეგმა.“ „უნდა დამუშავდეს პროექტი და საგზაო რუკა, რომელიც მკაფიოდ გაწერს პასუხისმგებლობებს და განსახორციელებელ ქმედებებს. საგზაო რუკა უნდა მოიცავდეს მოხატულობის მდგომარეობის, ინტერიერში გარემო პირობებისა და კედლების შიგნით წყლის შემცველობის აუცილებელ მონიტორინგს. უნდა შემუშავდეს მოხატულობების გრძელვადიანი კონსერვაციის გეგმა, რომელიც მოიცავს აქტიურ საკონსერვაციო ღონისძიებებს, რომლებიც დროთა განმავლობაში შესაძლოა კორექტირდეს, მას შემდეგ რაც ნაგებობა და კედლის მხატვრობა ნელა გამოშრება და სტაბილურ კონდიციას მიაღწევს.“ „სხვადასხვა ტიპის მონიტორინგი სამომავლო ინტერვენციების აუცილებელი პირობაა. რეკომენდებულია სამი ტიპის მონიტორინგი: 1. კედლის მხატვრობისა და მოზაიკის მდგომარეობის მონიტორინგი, რისთვისაც აუცილებელია უსაფრთხო ხარაჩო ინტერიერის მთელ პერიმეტრზე. 2. ნაგებობის მთლიანი სტრუქტურის მონიტორინგი, რაც განპირობებულია ნაგებობის სტრუქტურულ სტაბილურობასთან დაკავშირებული როგორც წარსული, ისე შესაძლო სამომავლო მოდიფიკაციებითა და გამოწვევებით. 3. მიკროკლიმატის მონიტორინგი, რომელსაც საკვანძო მნიშვნელობა აქვს ძალზე მყიფე მდგომარეობაში არსებული მოხატულობების სამომავლო დაცვის საქმეში.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 5; 30.)*
- „მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია დარგის მესვეურთა მიერ უგულვებელყოფილი მაღალკვალიფიციური ექსპერტების რეკომენდაციების შესრულება: გელათის ტაძრების მოხატულობებისა და სტრუქტურებისთვის უსაფრთხო და გრძელვადიანი მუშაობისთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფი ერთიანი დროებითი გადახურვის მოწყობა; ყველა სივრცეში გარემო პირობებისა და მოხატულობების უწყვეტი მონიტორინგი; აუცილებლობის შემთხვევაში, დასაბუთებული, ანალიზს დაფუძნებული და კონკრეტული ვითარების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და მასალების გამოყენებით შესრულებული გადაუდებელი ფიზიკური სამუშაოები; კონსერვაციის გეგმის შემუშავება და მასზე დაყრდნობით შემდგომი სამუშაოების ეტაპობრივი განხორციელება. გადაუდებელ აუცილებლობად გვესახება გელათის ძველის მართვისა და კონსერვაციის პრობლემების ანალიზის საფუძველზე მკაფიო გადაწყვეტილებების ინიცირება და მიღება; პროცესების არსებითი კორექტირება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების კვალად და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა.“ „მონიტორინგის საგანი არ გამხდარა არათუ წმინდა გიორგის ეკლესია, ანდა მთავარი ტაძრის ნართექსი და ეგვტერები, არამედ - იქვე, ფიზიკური სამუშაოების სიახლოვეს მდებარე, ჩრდილოეთი და

სამხრეთი მკლავების ზედა მონაკვეთები და საკურთხეველის კონქი.“ *(ჩუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 19; 16.)*

#### 4. მოზაიკა:

- „უსაფრთხო ხარაჩო გაიმართოს ტაძრის ყველა მონაკვეთებზე, რათა შესაძლებელი გახდეს მოხატულობების ზედა ნაწილებისა და საკურთხეველის მოზაიკის მდგომარეობის შეფასება და კონტროლი.“ „საკურთხეველის აფსიდის აღმოსავლეთ ფერდს მკაფიოდ ატყვია ნესტის კვალი თაღსა და მოჭიქულ კრამიტებს შორის. ინტერიერშიც საკურთხეველის გვერდით მხარეებსა და სატრიუმფო თაღის ფრონტალურ ნაწილში ნესტის ახალი კვალი შეიმჩნევა მოზაიკასა და მხატვრობაზე (მაგ., ღმრთისმშობლის სახეზე). შემდგომი სიღრმისეული კვლევები შეუძლებელია ახლოდან დაკვირვებისა და შესაბამისი ინსტრუმენტების გარეშე.“ „აუცილებელია საკურთხეველის აფსიდის მოზაიკისა და აღმოსავლეთი ნაწილის მოხატულობის მდგომარეობის ზუსტი კონტროლი და შეფასება. ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ან საპატრიარქოს არქივებში დაცულ მასალას (დოკუმენტაცია, ფოტოები, ლაბორატორიული ანალიზები) ადრე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, შეუძლია თავის წვლილი შეიტანოს შეფასების საქმეში.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 4; 20.)*
- „საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მთავარი ტაძრის კონქის მოზაიკა, რომელსაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის 2020 წლის მაის-ივნისის ანგარიშით, 2017 წლის მდგომარეობასთან შედარებით თვალთ ხილული სხვაობა არ აღენიშნებოდა. სადღესოდ, ცვლილებები უკვე თვალსაჩინოა. დაზიანების დინამიკა XII საუკუნეში შესრულებული ღვთისმშობლის ფიგურის სახესა და ყელზე ისტორიული ფერწერული რესტავრაციის ადგილების (სავარაუდოდ, XVII ს.) მკაფიო ლაქებად გამოთეთრება-გამორეცხვაში, და მოზაიკური ფონზე გამოთეთრების (სავარაუდოდ გამომარილების) ლაქების მატებაში ჩანს. 2021 წლის ბოლოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ რესტავრატორ მერაბ ბუჩუკურთან და მისი გუნდის წევრებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაფართოებული კვლევის, ფოტოდოკუმენტირებისა და ტექნიკური ანგარიშის მომზადების ობიექტად, კედლის მხატვრობასთან ერთად, დასახელებულია მოზაიკაც (01/11/2021-17/12/2021, ხელშეკრ., N 3/366, 3/367, 3/368. 3/369/ 3/370). შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი არ არის. 2022 წლის 9 ოქტომბერს, ღვთისმშობლის სახის დაზიანების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პასუხად, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღინიშნა, რომ 2021 წლის მონიტორინგს მოზაიკის დაზიანება არ გამოუვლენია; ისტორიული შეკეთებების დაზიანება უმნიშვნელოდ იქნა მიჩნეული; ითქვა, რომ მოზაიკის მდგომარეობის ზუსტი შეფასება ხარაჩოს გარეშე შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მოზაიკის მდგომარეობის მონიტორინგისთვის ხარაჩო არ გამართულა.“ *(ჩუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 17.)*

#### 5. წმ. გიორგის ეკლესია:

- „წმინდა გიორგის ეკლესიას ნესტის ისეთივე პრობლემა აქვს, რაც მთავარ ტაძარს, თუმცა ნაკლებ სერიოზული. მაგრამ მისი მოხატულობა (XVI ს.) უფრო უარსეს მდგომარეობაშია, ამიტომ ჩარევის აუცილებლობა დიდია.“ *(WHC/ICOMOS/ICRROM-ის ანგარიში, გვ. 22.)*
- „საფუძვლიდან ნალესობის ფენის დაცემა და გაფხვიერება მკაფიოა წმინდა გიორგის ტაძრის კამარების, აფრების და კედლების ზედა ნაწილების არაერთ მონაკვეთზე.“ „მთავარი ტაძრისა და წმინდა გიორგი ეკლესიის მოხატულის სივრცეებისადმი გამოჩენილი უგულისყურობა მით უფრო აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 4 სექტემბრის მონიტორინგის ანგარიშში აღინიშნა, რომ: „ღვთისმშობლის შობისა და წმინდა გიორგის ეკლესიების კედლის მხატვრობების მდგომარეობა ლოკალურ მონაკვეთებში კრიტიკულად არასტაბილურია. წყლის ინფილტრაციისა და არასტაბილური გარემო პირობების (ტემპერატურა, ტენიანობა) გამო, მდგომარეობის გაუარესების პროცესი მიმდინარეა და ორივე ტაძრის სხვადასხვა მონაკვეთებში ფიქსირდება როგორც ფერწერული ფენის, ასევე ნალესობის ფრაგმენტების ჩამოცვენის მუდმივი პროცესი.“ *(ჩუბინაშვილის ცენტრის დასკვნა, გვ. 16-17.)*